ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.659.757 განკარგულებით დადგინდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტები, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალი და მათზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) გაჩერებების ადგილები, სადაც რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსები ($M_3$ კატეგორია) გაჩერდებიან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა განსახილველად წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების ($M_3$ კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ნომერი: 12-01240993069-01
თარიღი: 08.04.2024 15:39
ვადა: 08.05.2024

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი:
განცხადების N: 38-3824099150 განცხადების თარიღი: 08.04.2024
ხელმომწერი: თანამდებობა:

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
თავისუფალი განცხადება/წერილი

---

## მოთხოვნის ტექსტი

ავტობუსების ახალი მარშრუტი-M3 კატეგორია

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
№ 12-01240993069-01
08.04.2024 : 15:39
ქ. თბილისი, გ.შარტავას ქ. N7

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **38-3824099150**
თარიღი: **08/04/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**მისამართი:** შარტავას ქ. 7ა

---

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ **კახა კალაძეს**

ბატონო კახა,

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის კვლავ აქტუალურ გამოწვევას წარმოადგენს ქალაქში სწორი და ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და მისი გაუმჯობესების გზების შემუშავება. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია რუსთაველი მგზავრების გადაადგილება დედაქალაქის მიმართულებით.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით რუსთავის მერიამ თქვენთან თანამშრომლობით, 2019 წელს გარკვეულწილად განახორციელა სატრანსპორტო სისტემაში ცვლილებები და რუსთავი-თბილისის მიმართულებით (რუსთავის გასასვლელი-ნავთლუღის ქ. N6/2-ის მოპირდაპირედ) შემოიყვანა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით M3 კატეგორიის ავტობუსები, რომელიც სტუდენტური ტარიფით ემსახურება მოქალაქეთა მსგავს კატეგორიას. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული მიმართულებით 6000-მდე მგზავრი სარგებლობს ყოველდღიურად, რაც ხაზს უსვამს საზოგადოების მხრიდან დადგენილი მარშრუტის მიმართ გაზრდილ მოთხოვნაზე, რისი ფაქტორიც გამოწვეულია კომფორტული და ხელმისაწვდომი გადაადგილებით.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით დედაქალაქის მიმართულებით რუსთავიდან ხორციელდება მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით, მგზავრთა დიდი ნაკადის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში კვლავ დღის წესრიგში დგას თბილისის სპორტის სასახლის მიმართულებით ახალი მარშრუტის შეთანხმება და დამატებით M3 კატეგორიის ავტობუსების შემოყვანის საკითხი. აღნიშნული მისამართიდან მუდმივ პრობლემას წარმოადგენს მგზავრების გადაყვანა, განსაკუთრებით საღამოს საათებში, შესაბამისად გაზრდილია ავტობუსების მოლოდინის დრო და მოთხოვნები სოციალურად ორიენტირებულ ტარიფებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი რუსთავი, მოსახლეობის კუთხით, ყოველ წელს განიცდის ზრდას. შესაბამისად მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია რუსთავის მაცხოვრებლებისთვის ხელმისაწვდომი ტრანსპორტის სერვისის შეთავაზება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების ურთიერთთანამშრომლობა და ერთობლივი, ქმედითი ღონისძიებების გატარება. შესაძლებელია, განხორციელდეს ერთ მარშრუტზე შეთანხმება, რომელიც

გადაადგილდება შემდეგი მიმართულებით: რუსთავი - თბილისი, სპორტის სასახლის მიმართულებით (იხ. დანართი). აღნიშნული ლოკაცია აერთიანებს სხვადასხვა საჯარო, კერძო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შესაბამისად ახალი მარშრუტის დაწესებით, განხორციელდება მგზავრთნაკადის განტვირთვა, სწრაფი და კომფორტული გადაადგილება, ხელმისაწვდომი ტარიფებით.

რუსთავის მუნიციპალიტეტი მზად არის განიხილოს თქვენს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და ალტერნატიული წინადადებები, რაც ხელს შეუწყობს რუსთაველი ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური პროექტის განხორციელებას ტრანსპორტის სფეროში.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# დადგენილება №

2024 წლის --- ------------------ ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების ($M_3$ კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 28/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 310150000.35.101.016571) და დადგენილების:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების ($M_3$ კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“.

2. პირველი და მე-2 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1**

დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.659.757 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტები, დანართი №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.659.757 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალი და მათზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) გაჩერებების ადგილები, სადაც რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსები ($M_3$ კატეგორია) გაჩერდებიან დანართი №2-ის შესაბამისად.“.

**მუხლი 2.**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

დანართი №1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები

| რიგითი № | მარშრუტის დისლოკაციის ადგილი | ავტობუსების მარშრუტები |
|---|---|---|
| 1 | ნავთლუღის ქ. №6/2-ის მოპირდაპირედ | რუსთავის გზატკეცილი-ვახტანგ გორგასლის ქუჩა- დიმიტრი გულიას მოედანი- დიმიტრი გულიას ქუჩა-რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა- ნავთლუღის ქუჩა-ვაჟა ჩაჩავას ქ.-აწყურის ქ. - კახეთის I შესახვევი - ნავთლუღის ქ. (№6/2-ის მოპირდაპირედ)<br>**უკუმიმართულებით**: ნავთლუღის ქ. (№6/2-ის მოპირდაპირედ)-ნავთლუღის ქუჩა-რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა-დიმიტრი გულიას ქუჩა-გულიას მოედანი-ვახტანგ გორგასლის ქუჩა-რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ.; |
| 2 | წრიული | ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - მარჯვენა სანაპირო - ვახტანგ გორგასლის ქ. - მეტეხის ხიდი - ევროპის მოედანი - ნოე ჟორდანიას სანაპირო - კოსტა ხეთაგუროვის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - გმირთა მოედანი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. - პეკინის გამზირი - 26 მაისის მოედანი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გმირთა მოედანი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - ვახტანგ გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ. |

| რიგითი № | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალი და მათზე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერებების ადგილები, სადაც რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსები (M3 კატეგორია) გაჩერდებიან | ქუჩის, გამზირის, გზატკეცილის დასახელება |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1 | რუსთავის გზატკეცილი №5-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 2 | რუსთავის გზატკეცილი №59-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 3 | რუსთავის გზატკეცილი №117-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 4 | რუსთავის გზატკეცილი №235-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 5 | რუსთავის გზატკეცილი №34-ის მოპირდაპირედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 6 | რუსთავის გზატკეცილი №257-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 7 | რუსთავის გზატკეცილი, კორპუსი №19-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 8 | რუსთავის გზატკეცილის და იეთიმ გურჯის ქუჩის გადაკვეთის მოპირდაპირედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 9 | რუსთავის გზატკეცილის და აფხაზეთის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 10 | რუსთავის გზატკეცილის და გულბანის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 11 | რუსთავის გზატკეცილის და აფხაზეთის ქუჩის გადაკვეთის მოპირდაპირედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 12 | რუსთავის გზატკეცილის და იეთიმ გურჯის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 13 | რუსთავის გზატკეცილი №50-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |

| | | |
|---|---|---|
| 14 | რუსთავის გზატკეცილი №257-ის მოპირდაპირედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 15 | რუსთავის გზატკეცილი №34-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 16 | რუსთავის გზატკეცილი №28-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 17 | რუსთავის გზატკეცილი №20-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 18 | რუსთავის გზატკეცილი №119-ის მოპირდაპირედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 19 | რუსთავის გზატკეცილი №14-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 20 | რუსთავის გზატკეცილი №6-ის მიმდებარედ; | რუსთავის გზატკეცილი |
| 21 | ვახტანგ გორგასალის ქ. №79-ის მიმდებარედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 22 | ვახტანგ გორგასალის ქ. №87-ის მიმდებარედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 23 | ვახტანგ გორგასალის ქ. №93-ის მიმდებარედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 24 | ვახტანგ გორგასალის ქ. №101-ის მიმდებარედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 25 | ვახტანგ გორგასალის ქ. №111"ა"-ს მიმდებარედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 26 | ვახტანგ გორგასალის ქ. №113-ის მიმდებარედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 27 | ვახტანგ გორგასალის ქ. №115-ის მიმდებარედ (ყოფილი ქარხანა „ელექტროავტომატი“); | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 28 | ვახტანგ გორგასალის ქ. №115-ის მიმდებარედ (საცხოვრებელი კორპუსი); | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 29 | ვახტანგ გორგასალის ქ. №52-ის მოპირდაპირედ (გამწვანება „კრწანისის“ მოპირდაპირედ); | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 30 | ვახტანგ გორგასალის ქ. №52-ის მოპირდაპირედ (გამწვანება „კრწანისის“ მიმდებარედ); | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 31 | ვახტანგ გორგასალის ქ. №115-ის მიმდებარედ (საცხოვრებელი კორპუსი); | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 32 | ვახტანგ გორგასალის ქ. №115-ის მიმდებარედ (ყოფილი ქარხანა „ელექტროავტომატი“); | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 33 | ვახტანგ გორგასალის ქ. №113-ის მოპირდაპირედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |

| | | |
|---|---|---|
| 34 | ვახტანგ გორგასლის ქ. №111“ა“-ს მოპირდაპირედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 35 | ვახტანგ გორგასალის ქ. №101-ის მოპირდაპირედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 36 | ვახტანგ გორგასალის ქ. №93-ის მოპირდაპირედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 37 | ვახტანგ გორგასალის ქ. №87-ის მოპირდაპირედ; | ვახტანგ გორგასლის ქუჩა |
| 38 | გულიას მოედანი №4-ის მიმდებარედ; | გულიას მოედანი |
| 39 | გულიას ქ. №1 (ორთაჭალის ცენტრალური ავტოვაგზალის მიმდებარედ); | გულიას ქუჩა |
| 40 | გულიას ქ. №1-ის მოპირდაპირედ (ორთაჭალის ცენტრალური ავტოვაგზალის მოპირდაპირედ); | გულიას ქუჩა |
| 41 | რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა: | რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა |
| 42 | რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №5-ის მიმდებარედ; | რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა |
| 43 | რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №13-ის მიმდებარედ; | რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა |
| 44 | რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №13-ის მოპირდაპირედ; | რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა |
| 45 | რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №5-ის მოპირდაპირედ. | რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა |
| 46 | ნავთლუღის ქ. №10-ის მიმდებარედ; | ნავთლუღის ქუჩა |
| 47 | ნავთლუღის ქ. №6/2-ის მიმდებარედ; | ნავთლუღის ქუჩა |
| 48 | ნავთლუღის ქ. №6/2-ის მოპირდაპირედ; | ნავთლუღის ქუჩა |
| 49 | ნავთლუღის ქ. №31-ის მიმდებარედ; | ნავთლუღის ქუჩა |
| 50 | ცოტნე დადიანის II ჩიხის მოპირდაპირედ; | ცოტნე დადიანის ქუჩა |
| 51 | ვახტანგ გორგასალის ქ. №28-ის მიმდებარედ; | ვახტანგ გორგასალის ქუჩა |
| 52 | ვახტანგ გორგასალის ქ. №7-ის მოპირდაპირედ; | ვახტანგ გორგასალის ქუჩა |
| 53 | კოსტა ხეთაგუროვის ქ. (ნიკოლოზ ბარათაშვილის პანდუსი); | კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა |
| 54 | მ/ს "ტექნიკური უნივერსიტეტი" (26 მაისის მოედანი №1); | კონსტანტინე გამსახურდია გამზირი |

| | | |
|---|---|---|
| 55 | მ/ს "ტექნიკური უნივერსიტეტი" (პეკინის გამზირი №12); | პეკინის გამზირი |
| 56 | ზვიად გამსახურდიას სანაპირო №6-ის მიმდებარედ (იუსტიციის სახლის მოპირდაპირედ); | ზვიად გამსახურდიას სანაპირო |
| 57 | ვახტანგ გორგასალის ქ. №79-ის მიმდებარედ; | ვახტანგ გორგასალის ქუჩა |

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების ($M_3$ კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75–ე მუხლის „ე.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა „ადგენს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების) მოძრაობის მარშრუტებს", ხოლო „ე.ე$^1$" ქვეპუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა „ადგენს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალს, რომლებზედაც ავტობუსები ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები) მხოლოდ ავტობუსების გაჩერების ადგილებზე გაჩერდებიან".

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა არის „შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით მგზავრთა გადაყვანა; რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მგზავრთა გადაყვანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით დადგენილი მარშრუტების გათვალისწინებით; შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით მგზავრთა გადაყვანა, რომელიც დაიწყო და დამთავრდა ერთი და იმავე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საგზაო ინფრასტრუქტურის თავისებურების ან/და რელიეფის გამო სხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთით.".

2024 წლის 8 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შემოვიდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის №38-3824099150 წერილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის №12-01240993069-01), სადაც აღნიშნულია, რომ „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის კვლავ აქტუალურ გამოწვევას წარმოადგენს ქალაქში სწორი და ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და მისი გაუმჯობესების გზების შემუშავება. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია რუსთაველი მგზავრების გადაადგილება დედაქალაქის მიმართულებით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით რუსთავის მერიამ თქვენთან თანამშრომლობით, 2019 წელს გარკვეულწილად განახორციელა სატრანსპორტო სისტემაში ცვლილებები და რუსთავი-თბილისის მიმართულებით (რუსთავის გასასვლელი-ნავთლუღის ქ. N6/2-ის მოპირდაპირედ) შემოიყვანა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით $M_3$ კატეგორიის ავტობუსები, რომელიც სტუდენტური ტარიფით ემსახურება მოქალაქეთა მსგავს კატეგორიას. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული მიმართულებით 6000-მდე მგზავრი სარგებლობს ყოველდღიურად, რაც ხაზს უსვამს საზოგადოების მხრიდან დადგენილი მარშრუტის მიმართ გაზრდილ მოთხოვნაზე, რისი ფაქტორიც გამოწვეულია კომფორტული და ხელმისაწვდომი გადაადგილებით. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით დედაქალაქის მიმართულებით რუსთავიდან ხორციელდება მგზავრთა გადაყვანა $M_2$ და $M_3$ კატეგორიის ავტობუსებით, მგზავრთა დიდი ნაკადის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში კვლავ დღის წესრიგში დგას თბილისის სპორტის სასახლის

მიმართულებით ახალი მარშრუტის შეთანხმება და დამატებით M3 კატეგორიის ავტობუსების შემოყვანის საკითხი. აღნიშნული მისამართიდან მუდმივ პრობლემას წარმოადგენს მგზავრების გადაყვანა, განსაკუთრებით საღამოს საათებში, შესაბამისად გაზრდილია ავტობუსების მოლოდინის დრო და მოთხოვნები სოციალურად ორიენტირებულ ტარიფებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ქალაქი რუსთავი, მოსახლეობის კუთხით, ყოველ წელს განიცდის ზრდას. შესაბამისად მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია რუსთავის მაცხოვრებლებისთვის ხელმისაწვდომი ტრანსპორტის სერვისის შეთავაზება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების ურთიერთთანამშრომლობა და ერთობლივი, ქმედითი ღონისძიებების გატარება. შესაძლებელია, განხორციელდეს ერთ მარშრუტზე შეთანხმება, რომელიც გადაადგილდება შემდეგი მიმართულებით: რუსთავი - თბილისი, სპორტის სასახლის მიმართულებით (იხ. დანართი). აღნიშნული ლოკაცია აერთიანებს სხვადასხვა საჯარო, კერძო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შესაბამისად ახალი მარშრუტის დაწესებით, განხორციელდება მგზავრთნაკადის განტვირთვა, სწრაფი და კომფორტული გადაადგილება, ხელმისაწვდომი ტარიფებით. რუსთავის მუნიციპალიტეტი მზად არის განიხილოს თქვენს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და ალტერნატიული წინადადებები, რაც ხელს შეუწყობს რუსთაველი ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური პროექტის განხორციელებას ტრანსპორტის სფეროში.“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.659.757 განკარგულებით დადგინდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალი და მათზე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერებების ადგილები, სადაც რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსები (M3 კატეგორია) გაჩერდებიან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა განსახილველად წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

**გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**ე) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების ($M_3$ კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, აგრეთვე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალის და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების) გაჩერების ადგილების დადგენისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.659.757 განკარგულებას.

დანართი: --- ფურცელი.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე



თბილისი
მ/ს "ტექნიკური უნივერსიტეტი"
41.71933, 44.77839
ბუკიას ბაღი
41.72109, 44.77469
ელენე ახვლედიანის აღმართი
41.69763, 44.80909
იუსტიციის სახლი
41.69868, 44.80560
აბანოთუბანი
41.68897, 44.81283
აბანოთუბანი
41.68890, 44.81288
დიმიტრი გულიას მოედანი
41.67564, 44.82856
დიმიტრი გულიას მოედანი
41.67529, 44.82930
ფონიჭალა, რკინიგზის ხიდი
41.65953, 44.89187
ფონიჭალა, რკინიგზის ხიდი
41.65944, 44.89183
რუსთავის გზატკეცილი #20ა
41.65575, 44.89912
რუსთავის გზატკეცილი #115
41.65579, 44.89886
ქვემო ფონიჭალის ცენტრი
41.64479, 44.91182
ქვემო ფონიჭალის ცენტრი
41.64486, 44.91159
ფონიჭალის ნაკრძალი
41.62883, 44.92291
ქუთაისის მოედანი
41.56943, 44.96479
ქუთაისის მოედანი
41.56907, 44.96475
რუსთავი
შ-160
შ-31
შ-31
ბოლო გაჩერება
რუსთავი-თბილისი
თბილისი-რუსთავი